



რეიტინგის სასამართლო.

ნახ. ღონის.

მოსამართლე: — რატომ არ გამოცხადდნ თქვენი მოწმეები? უფლას დავაჯარიმებ კანონის დარღვევასათვის.

მოსამართლე: — საბოლოო მიზეზი მქონდათ ამბ. მოსამართლე: სანამ საქმეს დანიშნავდათ, იდიოტური დავისთვის.

"საგნა-ვინცნა"



გეორგიული
ბიზლირთეა

ბოლშევიკურ სიფხიზლეს არაფერი საერთო არა აქვს ლაჩრულ ეკვიანო ბასთან...
...მხოლოდ მტერია დაინტერესებული გაავრცელოს ჩვენს რიგებში ლაურ-
წმუნებლობა და ზედმეტი იკვიანობა.
(„პრავდა“).

არჩეულმა პარტორგად
კურდღელაძემ მიხამა
საქმეს ხელი მოჰკიდა
და თავი არ იხამა.

დირექტორთან შევიდა,
ხმა უწყდება ყელშია.
ამბობს: — „კაცობრიობის
ბედი განსაცდელშია.“

საცხა ვინცნა რაცხა ქსელს
ხლართავს, როგორც ობობა,
შიკრიკს საცხა ვინცნასთან
ჰქონია ნაცნობობა.

იმ ვილაცას, ვინცნას თქმით,
საცხა ვინცნა ჰყოლია
და ორივე ერთ მარშრუტის
ტრამვაის გაჰყოლია.

აქ ხომ დანაშაულის
უქვედელი კვალია
და აღვივალდ შეამჩნევს
მტერთან კავშირს თვალთა.

განა სხვა მარშრუტები
ჩვენს ქალაქში არ იყო?
თუ შეცდომით შევიდა,
უნდა ჩამომხტარიყო.



ახლა გვმართებს სიფხიზლე
დიდი, განუზომელი,
რომ მივიღოთ სასწრაფოდ
გადამწყვეტი ზომები.

ხმა ჩაუწყდა დირექტორს,
შეეცვალა ფერია
„უნდა მოვხსნათ“ — დაასკვნეს,
„კლასობრივი მტერია!“

მოსვენებას მიეცა
დირექტორიც, მიხაცა,
მაგრამ მიხას გამკრთალ ხმით
ჩასჩურჩულებს ვილაცა.

საცხა ვინცნა რაცხა ქსელს
ხლართავს, როგორც ობობა,
საცხა ვინცნას ვინცნასთან
აქვს რაცხა ნაცნობობა.

— ყველა იცნობს ჩვენს ტრესტში,
რეგისტრატორს ვერასა,
იადონის კილო აქვს,
ვერ შეამჩნევ ვერასა.

ითაფლება ვინც ხედავს
და შველის ნუკრს ადარებს,
ეს, ვინ იცის, ის გულში
რა შავ ზრახვებს ატარებს?

ფაქტიც ვიცი ამისი:
ხალაღც გამიგონია,
რომ მას საცხა ვინცნასთან
ნაცნობობა ჰქონია...

არჩეულმა პარტორგად
კურდღელაძემ მიხამა
„საქმეს“ მისცა მსვლელობა
და თავი არ იხამა.

დირექტორთან შევიდა,
ხმა უწყდება ყელშია,
ამბობს: — „კაცობრიობის
ბედი განსაცდელშია.“

რეგისტრატორს ვერასა,
ვილაც ამბობს, მგონია,
თურმე საცხა ვინცნასთან
ნაცნობობა ჰქონია.

იმ ვილაცას, ვინცნას თქმით,
საცხა ვინცნა ჰყოლია,

და ის ვინცნა ვილაცას
მაზლისწულს გაჰყოლია.

ამ მაზლისწულს ვინცნასთან
რაცხა საქმე ჰქონია,
საცხა ვინცნას იმაზე
რაცხა გაუგონია.

ახლა გვმართებს სიფხიზლე
დიდი, განუზომელი,
რომ მივიღოთ სასწრაფოდ
გადამწყვეტი ზომები.



ხმა ჩაუწყდა დირექტორს
და ეცვალა ფერია,
— „უნდა მოვხსნათ“ — დაასკვნეს;
„კლასობრივი მტერია“.

მოსვენებას მიეცა
დირექტორიც, მიხაცა,
მაგრამ მიხას გამკრთალ ხმით
კვლავ ჩასძახის ვილაცა;

„კაცს ვერ ნახავ იმნაირს,
რომ სთქვა „დასანდობია“,
თავის დამწვევ სიფხიზლეს
არაფერი სჯობია.

ძმაც არ არის ამ ქვეყნად
გულის დასანდობელი,
არ გაგიტანს ზოგჯერაც
საკუთარი მშობელი.

უზრნალ „ნიანგის“ რედაქცია

აქხაღებს კონკურსს
საუკეთესო სატირულ-იუმორისტულ
მოთხრობაზე

დაწვრილებით უამღავ ნოზარში.

სხვის გულში ხომ არ ზიხარ.
ვინ რა დასაძლავია?!
თავის დამზღვევ სიფხიზლეს
არაფერი სჯობია.

ინკასატორს ილიკოს
და ჩვენს მემანქანესა
ხშირად ვამჩნევ, ჭუმრუმალ
თვალს უკვრენ ერთმანეთსა.

საცხა რაცხა საქმეზე
ეშმაკურად დადიან,
რას იზრახვენ, ვინ იცის,
ვინ უწყის რა სწადიან.

საცხა ვინცხა მათ ზურგში
კლასობრივი მტერია,
საცხა ვინცხას სცნობენ და
ხმაზეწყობით მღერიან.

ფაქტიც ვიცი ამისი:
საღლაც გამიგონია,
რომ ერთ მათგანს ვინცხასთან...
ნაცნობობა ჰქონია.

იმ ვინცხას კი ვინცხას თქმით...

კურდღელაძემ მიხამა,
საქმეს მისცა მსგელოზობა
და თავი არ იხამა.

დირექტორთან შევიდა,
ხმა უწყდება ყელშია,
ამბობს „ბედი ქვეყნისა
ისევ განსაცდელშია.



ილო და მემანქანე
ერთუროს შეჰკურკუებენ
ეს კურუკური მტრულია,
მას სხვაფერ უყურებენ.

აქ საშიში ქსელია,
მტერი ძალებს აქ იკრებს.
ეს საკითხი რთულია,
მეტისმეტად მაფიქრებს.

დღემდე ზომებს არ ვიღებთ,
ხელი დაგვიკრეფია!
და დაასკვნეს: „გავრიცხოთ“,
კლასობრივი მტრებია.“

*
* *

მოსვენებას მიეცა
დირექტორიც, მიხაცა,
მაგრამ მიხას გამკრთალ ხმით
კვლავ ჩახძახის ვილაცა:

საცხა ვინცხა რაცხა ქსელს
ხლართავს ობობასავით
საამისო ფაქტი მაქვს
მტკიცე კაუხის ქვასავით:

— „საქმართველი, მდივანი,
თავს იმდენად გასულან,
რომ სავაშმოდ რესტორნის
კაბინეტში ჩასულან.

ბუხიც მათთან ყოფილა,
რომ გაებან, ახია,
უიშველად ამ ფაქტში
ძაღლის თავი მარხია.

თუ ნიღბებით ისინი
მტრის სახეს არ მაღავენ,
ფარდის უკან ვაშმის დროს
თავეებს რად იმაღავენ?..

აქ აშკარა კვალი სჩანს!
საცხა რაცხას შერებთან,
საცხა ვინცხა ქსელს ხლართავს
რაცხას ეპირებთან.

* * * * *

დანარჩენი შენ იცი...

კურდღელაძემ მიხამა
საქმეს მისცა მსგელოზობა
და თავი არ იხამა.

დირექტორთან შევიდა,
ხმა უწყდება ყელშია,
ამბობს: „ბედი ქვეყნისა
კვლავ დიდ განსაცდელშია.


საქმართველიც, მდივანიც,
ბუხიც, თურმე, მტერია,
ვერ გავიგე სადა ვარ,
გზა-კვალი ამერია.

საცხა ვინცხა მათგანი
რაცხა საქმის მქნელია,
მათ, რომ საქმე უქნიათ,
წარმოდგენაც ძნელია.

ცნობები მაქვს უდავო,
სულ ხელიდან წასულან,
საცხა როსლაც რესტორნის
კაბინეტში ჩასულან.

ბროწეული
გიგლიოთქა

ფარდის უკან რა სურდათ?
ალბათ, რაცხას შერებთან!..
საცხა ვინცხა ქსელს ხლართავს,
რაცხას ეპირებთან.



ალბად საცხა ვინცხასთან
უქნებათ ნაცნობობა,
საცხა ვინცხა რაცხა ქსელს
ხლართავს, როგორც ობობა.

ჩვენ კი ზომებს არ ვიღებთ,
ხელი დაგვიკრეფია..
და დაასკვნეს: „გავრიცხოთ!
კლასობრივი მტრებია!“

*
* *

ნუ დავაცლით „გმირობას“,
გამომჟღავნდეს ფარული! —
„სამეფოში“ ნაღდად ჩანს
მტერი შემოპარული.

მიხაც, მისი მრჩეველიც
მოჭორილს რომ ჩურჩულებს
მოჩვენებით „სიფხიზლით“
მტერს საწადელს უსრულებს.

დირექტორიც, თუ შეხვდა,
გაიმეტებს სამყაროს,
ოღონდ ამით მზაკვრული
თავისი საქმე დაჟფაროს.

მაგრამ მათ წინ ჩვენც ხელი
როდის დაგვიკრეფია?!
მოვსპოთ! გავანადგუროთ! —
კლასობრივი მტრებია!

მედუზა

კონსერვო ბერლინი

ნან. მინ. ლებეშვილი.

გერმანიის დამსახურება ხელისუფლებამ აკრძალა მუსიკის მოწოდება, რადგან კლასიკოსების შესრულება, როგორც ანტიფაშისტური.



კოლიცევილი: — რას ხალობარს სიმღერის მაგივრად ცრემლის ტბა დააყენე, რა გატირებს, კარგი რამ შეასრულდე..
მსახიობი: — რა ვქნა, ზერ, ანტიფაშისტური სიმღერის შესრულების ნება რომ არა მაქვს?!



— პაპა, დედა ამბობს რომ შენ კარგი ზღაპრები გცოდნია. გე-
ამბე რაიმე ზღაპარი! — არ უსვენებდნენ ოთარი და თამარი პაპას.
და აი რა უამბო პაპამ ბაბულებს:

— ერთ ლამაზ ქვეყანაში, შვილებო, სამი მამაცი რაინდი ცხოვ-
რობდა. სილამაზით მზეს სჯობდნენ ის რაინდები, ღონით ბობო-
ქარ ქარიშხალს, სისწრაფით ელდნენ...

— პაპა რომელ ქვეყანაში იყო ეს ამბავი? — იკითხა თამარმა.

— ეგ შვილო, იყო... ერთ ქვეყანაში შვილებო!..

— სახელი პაპა, სახელად რა ერქვა?

არ უპასუხა პაპამ...

— პაპა, რუკაზე მაინც ვერ გვიჩვენებ?

აქ კი გამოსავალი ნახა მოხუცმა, ჩვენი გამომცემლობის ამბავი
რომ იცოდა, მოუჭრა:

— რუკას თუ იშოვით, კი.

თამარმა ამოიოხრა:

— ახ, რატომ ჩვენი მასწავლებელი აქ არ არის, ხელად დაგვი-
ხატავდა!

— როგორც იმ დღეს, დაგვიხატა და მტკვარი აფრიკაში აღმო-
უჩნდა! — გაიხსენა ოთარმა. — მერე პაპა, მერე?

— იმ ქვეყნის ერთ მხარეში — განაგრძო პაპამ — ცხოვრობდა
ერთი მზეთუნახავი. რამდენ მამაცს გაუბედნია მზეთუნახავთან
სტუმრობა, რამდენი რაინდი წასულა იმ მზეთუნახავთან შესაბმე-
ლად, მაგრამ არაფერი გამოდიოდა; არავინ ეკარებოდა ახლოს...

— რა ბიუროკრატი გინმე ყოფილა! — აზრი გამოსთქვა თამარ-
მა — კედლის გაზეთში ვერ გასწერეს?

— მერე პაპა, მერე? — კიდევ დაინტერესდა ოთარი.

პაპამ განაგრძო:

— და აი, ჩემს მიერ ნახულმა იმ სამმა რაინდმა გადაწყვიტეს
მზეთუნახავის მოსატაცებლად წასულიყვნენ.

— რითი პაპა, ტრამვაით? — იკითხა დაინტერესებულმა თა-
მარმა.

— ტრამვაით კი არა, ფეხით — მიუგო ოთარმა — რამდენი წე-
ლიწადი უნდა ევლოთ, რომ ტრამვაით იქ მისულიყვნენ... მერე
პაპა?

— სწორედ მაგ წასვლაში იყო საქმე, შვილებო, ფეხით ძნელი
იყო იქ მისვლა. რაინდთა რაშებიც ვერ ბედავდნენ იმ კლდე-ღრე-
ში გადაჭრას და საგონებელში ჩავარდნენ ჩვენი რაინდები. ერთ-
მა მათგანმა ხალიჩა იშოვნა სადღაც.

— უცნაური რამ იყო ეს ხალიჩა — განაგრძო მოხუცმა — ზედ
თავისუფლად გაიმართებოდა ოთხი-ხუთი კაცი. რომ იცოდე რამდე-
ნი საგზლის დატევა შეიძლებოდა იმ ხალიჩაზე? და განა საქმე მარ-
ტო საგზალში იყო? ფრენა შეეძლო, ბავშვებო, იმ ხალიჩას, ისე-
თი სწრაფი ფრენა, რომ მერცხალიც ვერ დაეწეოდა...

— ფრენა ჩვენმა ტრამვაიმაც იცის, ლიანდაგიდან გადაცდნის
დროს. — იხუმრა თამარმა.

— მერე პაპა?

— დასდნენ, შვილებო, ერთ დღეს ჩვენი რაინდები იმ ხალი-
ჩაზე და გზას გაუდგნენ. ელვის სისწრაფით მიფრინავდა ის ხალი-
ჩა. ერთი დღის ფრენის შემდეგ მიუახლოვდნენ მზეთუნახავს და
თქვეს მტერს, შვილებო, იმათ რომ იქ სურათი დაუხვდათ. სიცი-
ვით ქვებიც კი კანკალდნენ. მზეთუნახავის ქვეყანაში მილიონო-
ბით ფერიები დახტოდნენ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილნი.

— თეთრ ტანსაცმელში? მერე არ სციოდათ? — გაიკვირვა თა-
მარმა.

— რას იზამ — შეეკამათა ოთარი — ალბათ იქაც თბილისის
ბური კოოპერატივები იყო და მხოლოდ თეთრ ტანსაცმელს ჰყი-
დნენ ზამთრობით... მერე პაპა?

— საშინელება რამ ასტეხეს ამ ფერიებმა: უცბად თვალის
მომჭრელი სინათლით გაანათეს მთელი მხარე, იმ წამსვე ჩააბნელეს
იქაურობა, კიდევ გაანათეს, დააბნელეს, გაანათეს, დააბნელეს და
უკუნეთმა მოიცვა იქაურობა...

— ფერიები კი არა თელასის თანამშრომლები ყოფილან! — წა-
მოიძახა ოთარმა.

— მერე პაპა?

— და წამოვიდა ფერიათა ლაშქარი. საშინელი სანახავი იყო
იქაურობა: ბნელოდა მაგრამ ფერიების თვლები ისე ანათებდნენ,
დღისებური სინათლე იდგა. აფრინდნენ მალლა ფერიები და ბრძო-
ლა გაუმართეს რაინდებს. ხმლებს მარჯვედ ხმარობდნენ ჩვენი რა-
ინდები: მუსრი გაავლეს ფერიათა ლაშქარს. თვლა აღარ ჰქონდა
ინდენი იყო მათი ლაშქარი. მაშინ ერთი რაინდთაგანი უცნაურ საკ-
რავს მიუჯდა. დაუკრა და შიშითა და ძრწოლვით გაფრთხა ფე-
რიათა ჯარი, საით გადაიკარგნენ ვერავინ ნახა...

— უი, თბილმუსმრეწვის გიტარა ჰქონიათ თან წაღებულნი! —
წამოიძახა თამარმა.

— მერე პაპა?

— მიხვდა მზეთუნახავი რომ ცუდად იყო საქმე; სასწრაფოდ
აისხა იარაღი; შეჯდა თავის ლურჯა მერანზე და საბრძოლველად
მოემზადა. აბა, ჩემო მერანო, განკარგულება ვასცა მზეთუნახავმა,
ამიტაცე ცაში და მტრებს დამასხი თავზე. მაგრამ ადგილიდან არ
დაძრულა მერანი. მზეთუნახავმა მათრახი მოუქნია ლურჯას და
უბრძანა გაფრენილიყო, არც ახლა დაუჯერა მერანმა: პირიქით
ძირს დაწვა...

— ჩვენი ცირკის ცხენი ხომ არ იყო პაპა? — იკითხა თამარმა.

— მერე პაპა?

— და მიხვდა მზეთუნახავი რომ ვედარაფერს გააწყობდა. ერთი
ისეთი ამოიგვინა, ზანზარი დაიწყო მთელმა მხარემ, კინაღამ დაინ-
გრა იქაურობა. რაინდებმა ხალიჩას უბრძანეს მზეთუნახავთან ჩაფ-
რენილიყო. ხალიჩამ ბრძანება შეასრულა. და რაღა უნდა გაეწყო
მზეთუნახავს სამ მამაც რაინდთან: ათასი კოკა ცრემლი დაღვარა,
იგლოვა, ივაგლახა და უბრძოლველად დაემორჩილა რაინდებს.

— მერე პაპა?

— მთელმა ქვეყანამ იდღესასწაულა, შვილებო, რაინდების ეს
გამარჯვება. დიდი და პატარა ფეხზე დადგა: ნაირ-ნაირი ყვავილე-
ბით შეამკეს რაინდთა გასავლელი გზა და სამყოფელი. ულოცავდ-
ნენ და იმ ლამაზ ქვეყანაში ბუღბუღებდნენ კი ამ რაინდთა შესახებ
მღეროდნენ ყოველდღე...

— მერე პაპა?

— მორჩა შვილო, სულ ეს იყო:

— ზღაპარი გვიამბე პაპა, ზღაპარი. ეგ რად გვინდა ეგ ხომ
ჩვენც ვიცით: მაგაზე უკეთეს გმირობას გვითხულობთ გაზეთში ყო-
ველდღე. ფერიების დამარცხება და მზეთუნახავის მოტაცება რა
ბედენაა ჩვენი გმირების, მამაც მფრინავების მიერ გაწეულ საგმირო
საქმეებთან შედარებით? შენ ზღაპარი თუ იცი ის გვიამბე.

განსაცდელში ჩავარდა მოხუცი კვირიკა: გაგონილმა ზღაპრებ-
მა რომ აღარ იკმარა, საკუთარის გამოგონებას შეუდგა. მაგრამ არ
ეყო ფანტაზია, ისეთი რამ ვერ მოიგონა, რომ ჩვენს სინამდვილეზე
უფრო ლამაზი, გმირული და განსაცვიფრებელი ყოფილიყო.

ხანდახან გამოერევა ხოლმე სოფელში კუდაბზიკა ოჯახი. და კლემენტი ჭანტურასაც ის ჰქონდა საკუდაბზიკო, რომ შვილი გამოუვიდა ექიმი; იმისთანა ექიმი, რომ მოკლე ხანში პროფესიონალს პირდებოდნენ თურმე. ამიტომ იყო, რომ კლემენტი ყოველთვის ცხვირაბზიკილი დადიოდა სოფელში და მეზობლებს ვერ ამჩნევდა იმ წუთშიაც კი, როდესაც კლემენტის ცოლი თმაგაშლილი მოთქვამდა სახლში და მეზობლები ფიქრობდნენ, რომ კლემენტი თავს მოიკლავსო, მეტირულ ტონს მაინც არ შეუხვია გვერდი და მეტად ლაქონიური დეპეშა გაუგზავნა წვილს: „ნინა დაგვარგეთ“.

დეპეშის წაკითხვისთანავე ევტიხი ბავშვით აზლუქუნდა, აქეთ-იქიდან მგობრები შემოეხვეინენ. საავადმყოფოს პალატებშიც გავარდა ხმა და ყველა მისკენ გამოიბოდა. ათასნაირად ანუგეშებდნენ, ხან დეპეშაში შეცდომის აღმოჩენას ლამობდნენ, მაგრამ ვერავითარი შეცდომის აღმოჩენა ვერ მოახერხეს. ცხადზე უცხადესად იყო ნათქვამი „ნინა დაგვარგეთ. კლემენტი“.

— იქნება, კაცო, ასე უნდა წავიკითხოთ: „ნინა, დაგვარგეთ კლემენტი“ — სთქვა ერთმა.

— ჰო, მაგრამ, მაშინ ნინას უნდა უგზავნიდნენ დეპეშას და არა ევტიხის.

— არა კაცო, იქნება...

არაფერი არ მოუხერხდა დეპეშას და ისევ ნუგეშის ცემა არჩიეს.

— ევტიხი, თქვენ წახვალთ ალბათ. — ჰკითხა უფროსმა ორდინატორმა.

— დიახ, ამაღამვე. — უპასუხა ევტიხიმ და ცრემლები მოიწმინდა.

— გასვენების დღეს ჩვენც წამოვალთ. დეპეშით გვაცნობენ როდის იქნება დასაფლავება. რატომ ამ დეპეშით არ გვატყობინებენ? — შეწუხებულად ჩაილაპარაკა ექიმმა ქალმა, რომელ ხედაც ამბობდნენ, რომ ევტიხის აწოხებს თავსო.



უგუნებოდ შეუდგა ევტიხი მუშაობას და დღის 12 საათზე მოულოდნელად გაახსენდა, რომ სამგლოვიარო განცხადება უნდა მიეცა გაზეთში. გამწარებულმა შემოირიქა თავში ხელი და გაზეთის კანტორისაკენ მოუსვა. სასწრაფოდ დასწერა დანჯარასთან მეთად გრცელი განცხადება, სადაც მოიხსენია ჰირსუფალთა შორის მშობლები, ბიძები, ბიძაშვილები, მამიდები და დედები, რომელნიც გულდათუთქუნნი დასტიროდნენ მოულოდნელად, ტრალიკულად გარდაცვლილ, ჯანღონით სავსე, მუდამ დაუფიწყარ ძვირფას ნინას. ფრთხილად გაუხვია ხაზი ნინას სახელს და ქაღალდი დანჯარაში გადააწოდა განცხადებების მიმღებ კეკლუტ ქალიშვილს.

— თუ შეიძლება მიიღეთ სამგლოვიარო განცხადება.

— როდისთვის გნებავთ?

— დღესვე.

ქალმა ქაღალდს დახედა და უკანვე დაუბრუნა.

— დღეს არ შეიძლება. გვერდი უკვე შევსებულია, გარდა ამისა, ნინა ჭანტურას შესახებ უკვე ათი განცხადება მიდის დღეის გაზეთში.

— როგორ?!

— დიახ!

— საიდან? ის ჩემი და იყო და ათი განცხადება საიდან მოვიდა, მიჩვენეთ!

ქალმა გადმოშალა განცხადებები, ამოარჩია ყველანი, რომელნიც ნინას გარდაცვალებას შეეხებოდნენ და ევტიხის მიაწოდა.

თვალაცრემლებულმა ევტიხიმ ხმამაღლა მოიხოცა ცხვირი და აღელვებით ჩაიკითხა, რომ მისი უახლოესი მეგობრები: დათა თავისი ანზორიკოთი, პავლე

და მზია, გურამ, ნოდარი, თევლე თავისი ლამაზი, ოლია, ჟენია, კიტუსი და კიდევ ათიოდე სხვანი, თანაგრძნობას უცხადებდნენ ახალგაზრდა მეცნიერს, მედიცინის მომავალ დოქტორს, დოცენტ ევტიხი ჭანტურას მისი საყვარელი დის ნინას გარდაცვალების გამო.

შემდეგი განცხადება საავადმყოფოს თანამშრომლებისა იყო, იმის მომდევნო კი — ადგილკომისა. საავადმყოფოს დირექტორიც ცალკე აცხადებდა.

— შეხედე. იმ ინტრიგანსაც გაეხსენებია! — გაუელვა თავში ევტიხის, როდესაც ერთერთი მისი მოქიშვე ექიმის განცხადება ნახა. — რათ დასკირდა ახლა ამის დაწერა. ჯანსაზიკოში უნდა რომ გაუფიქროს საქმე, მაგრამ ტყუილია: იმისთანა არამზადს საქმეს არ გაუფიქრებ. ეს? ოჰო, ელენაც აცხადებს, ლენოჩკა — მგრძნობიარეთ კი დაუწერია. ალბათ ჩვენ პოეტს თუ დააწერინა, მოლარე — ინკასატორს. ეს ვილა ლევანტი ნამორაძეა, ვინაა? ამას რომ არ ვიცნობ დასწყევლოს ეშმაკმა! ჰკუა ხომ არ დამიკარგავს. — ლევანტი ნამორაძე თანაგრძნობას უცხადებს დოცენტს... ვინაა ეს ოჯახდასაქციე! აი, ღმერთო! ნუ იცის ჩემი მესიერების თავი. ვინაა ლევანტი ნამორაძე! პირველად მესმის სწორედ. ალბათ, მამაჩემის ნაცნობი თუა. მაგრამ მე რაღაზე მიცხადებს თანაგრძნობას? თუმცა მამაჩემის ნაცნობი ყველა ვიცი. მის დღეში არ ჰქონია მაინცდამაინც დიდი ნაცნობობა და ალბათ ჩემი ნაცნობია ვინმე.

ევტიხიმ ჩათვალა იერა განცხადებები და შეევედრა.

— მაშ ხვალისთვის მიიღეთ!

— არც ხვალ შეიძლება. ხვალისთვისაც საგნა გაზეთი განცხადებებით.

— მაშ ზეგისთვის მიიღეთ.

— არც ზეგისთვის შეგვიძლია, სულ თქვენ დაზეა განცხადებები.

— მაშ მაზეც მაინც.

— მაზეგაც შევსებულია. შვიდი განცხადება თქვენი დის შესახებ არის.

— აი ჩემი მოწოდებები, გამიგონეთ, მე ძმა ვარ, მიიღეთ როგორმე.

— არ შემიძლია, სხვის განცხადებას ვერ გამოვირცხავ, რადგან ფული შეღებული გვაქვს უკვე და დღეს მეთხოვრებრეს ვეუბნები უარს.

მუდარამ არ გასტრა. გაბრაზებულმა ევტიხიმ მაგრად გამოიბრაზუნა კარები.

— არაშაადები! ვილაც ლევანტი ნამორაძე უნდა აცხადებდეს და მე კი არა. ვინაა, ნეტავი გამაგებინა მაინც!

იმავე საღამოს გაემგზავრა ევტიხი თავის სოფელში და გზაში მთელ ღამეს ფიქრობდა:

— ევტიხი მაგარა ხალხს ა, რავე იტყვი შენ. — ეკითხებოდა თავის თავს ევტიხი სუყველას მოგვინებია. დათა თავისი ანზორიკოთი, ის სახელმძღვანელო ალბათ გასვენებაზე ჩამოვა. ზვალ დილით დეპეშა უნდა გავაგზავნოთ ბილისში. ეს ლევანტი ნამორაძე როგორ ვერ მოვიგონე ვინაა. არა, ეს ჩემი ნაცნობი არ უნდა იყოს!

რითერე იყო, როდესაც ევტიხი თავის საკუთარ სახლს მიადგა სოფელში. ეზოში და ბივანზე არავინ სჩანდა. დიდი დარბაზის კარები კი, ღია იყო.

— ალბათ დარბაზში თუ ასვენია. — გაიფიქრა ევტიხიმ, ცხვირსაბოცი ამოიღო, სატირლად მოემზადა და დარბაზში შესვლისთანავე ამოიგმინა.

— ვაიმე დაო!

მაგრამ გაკვირვებულს სიტყვა პირში შერჩა. დარბაზში ჩვილები იყვნენ, რიგი სუფევედა და კუბო არსად იდგა. ცოტახანს ასე გაკვირვებულად ათვალიერა თავისი დარბაზი ევტიხიმ, რომ ამ დროს გვერდით კარები გაიღო და ახლად ამდგარმა დედაქალაქმა გამოიხედა.

— უიმე შვილო, ევტიხი, ჩამოდი?

— დაგვარგე ჩემი ნინა არა? — შედრიალა უცბათ გულაჩუყებულმა ევტიხიმ და დედას მოეხვია.

— ნუ სტირი შვილო, ნუ! სატირალი არაა ის, ნუ სტირი!

— ჩემო კეკლუტო დაო, — ზლუქუნებდა ევტიხი.

სახლში ყველამ გაიღვიძა ხმაურზე.

კლემენტიმ მეორე ოთახიდან ხმამაღლა გამოსძახა ცოლს:

— ვინაა ბოშო, ევტიხი ხომ არ ჩამოსულა?

— ჰო, ჰო, ადექი ზეზე.

— უჰ! მაგას ვინაცვალე, რაფერ შეუწუხებია, მისი რჯული კი დაიქცეს. რა გვიყო, რა გვიყო, იმ უღმერთოში, იმან. — გამოალო კარები გულაჩუყებულმა კლემენტიმ საცვლების ამარამ და შვილს გადაეხვია. — ამ სიბერის დროს რავე გამიმწარა სიციცხლე, რავე გამაუბედურა, უჰ.. უჰ.. უჰ!..

იცრემლებულმა ევტიხიმ დედას მიმართა:

— წამიყვანეთ, მიჩვენეთ, სად ასვენია...

— ვინ, შვილო?

— ვინ და ნინა!

— უიმე შვილო, შენ მედარი ხომ არ გგონია, მოკვდა გეგონა?



გიგზენით დღიურს, რომელიც შემთხვევით ბორჯომის მატარებელში ვნახე და, როგორც ეტყობა უნდა ეკუთვნოდეს სად. ბაკურიანის რკ. გზ. სადგურის მორიგე ხუხუნაშვილს. ჩემის აზრით არც ავტორი იქნება წინააღმდეგი, თუ თქვენს ჟურნალში მოათავსებთ.

18 ნოემბერი

გუშინ ძმა-ბიჭებმა მირჩიეს: დღიურის წერა დაიწყე, მოხუცებულობის დროს შემთარებათ გამოგადგებაო... არა სტყუიან ბიჭები, მართლაც რომ საჭიროა ადამიანმა სწეროს თავის თავგადასავალი... მით უმეტეს მე, რომელმაც ადგილობრივ საზოგადოებაში უკვე მოვიხვეჩე ნამდვილი გმირის სახელი... მართლაც დიდებულია როცა ვერაფერს ვერაფერს გიბედავს... ხარ შენთვის ირანელ შახივით და აკეთებ მას, რაც შენს სულსა და გულს ესაიბოვნება.

22 ნოემბერი

არც ჩემი გვარი მომწონს და არც სამსახური აბა რა გვარია ხუხუნაშვილი... და განა ჩემი გვარი არ უნდა ყოფილიყო მუშტაძე?! მე ხომ ჩემი მუშტით გავითქვი სახელი?... ან და რა სამსახური სადგურის მორიგეობა ისიც ბაკურიანში?!, მაგრამ არა უშავს მაინც კარგად ვცხოვრობ „კაცი უნდა ხერხი იყოს სულ თავისკენ მიითლიდესო“-ო ნათქვამია, საპურმარილო ფული აქაც შემომდის...

10-დეკემბერი

დღეს დილიდანვე ცუდ გუნებაზე ვიყავი... დიდი ნაცის ხალხია ეს კოლმეურნეები. ახლა სოფ. მუცხრის „26 კომუნარების“ სახ. კოლმეურნეობის წევრმა ი. მარუაშვილმა ტვირთი მიიღო და სამაყარიჩოს მოცემაზედ კი ყურიც არ შეიბერტყა. ამ გამწარებულ გულზე ერთი კარგად მივბრეგვე და ისე გაუშვი...

— აბა?!—გაკვირვებით იკითხა ევტიხიმ.
— ჩვენთვის მკვდარია მაინც. იგი ისე გათხოვდა, რომ ჩვენ არ გვეკითხა.
— რაო? — შეშფოთებით იკითხა ხახადაფჩენილმა ევტიხიმ.
— ჰო, შეილაო, ჰო! ცოცხალი კი არის და ახლა ალბათ გახურებული ქეიფი აქვთ. კოლექტივი უხდის ქორწილს. ტრაქტორის შოფერს წაჰყვანა ცოლად, ის არ გადასარჩენი!

ევტიხი ერთხანს დარტყნილებულივით იდგა. თითქმის უცბათ გააღვიძნო. ბოლოს როგორც იქნა გამოერკვა, ამოიღო გაზეთები და მამას გაუწოდა. კლიმენტიმ გაშალა გაზეთი, სათვალეები გაიკეთა, დახედა და გულიანად ამოიგმინა.

— უჰ? რამდენი განცხადება ფუჭდება ტყუილად ი წუპაკი გომბიოს გულისთვის!

— ეგ რა არის. შენ ნახე ათი დღის განმავლობაში ყოველდღე რომ იქნება გამოცხადებული!

— ევტიხი უცბათ ფეხზე წამოდგა და აივანზე გავიდა.
— სევასტია, უუ... — გასძახა ევტიხიმ.
— აქა ვარ, ვინ იძახის?—მოისმა მეზობელ ეზოდან ხმა და შემდეგ ლობეზე მომდგარი სევასტია მხიარულად მიესალმა ევტიხის.
— გაგიმარჯოს, სევასტია! ფაიტონი გყავს ისევ?
— იმე, რავარი მერე.
— აბა, შეაბი ჩქარა ცხენები.
— ქორწილში ხომ არ მიბრძანდები?
— ჰო, ჩქარა!
— ამ მინუტში.—ფიცხლავ შეტრიალდა სევასტია და ფუსფუსით შეუდგა ცხენების შებმას.

— რაუდენია უუ...—გასძახა ევტიხიმ მეორე მხარეს.

— შენც თუ იქ წახვედი, ჩვენც დავგვარებ ახლა და ის იქნება. — აბურტყუნდნენ მშობლები.

— კარგი ერთი, მოგიცლია? დის ქორწილში არ წავიდე, სადღა წავალ აბა!

— ევტიხი ბრძანდები! დილა მშვიდობისა! როდის ჩამობრძანდი?—მიესალმა ეზოში შემოსული რაუდენი.

— დღეს, ჩემო რაუდენია, ერთი ჩემი ახალგაზრდობა უნდა მოვიგონო.

არღანი ხომ გაქვს ისევ?

— კი ბატონო.

— ახალი პესნები თუ არის შიგ.

— კი, სულიკო, მარში... რავიცი, ზევრია...

— აბა ჰა, მოდი, ქორწილში მივდივარ, წამოდი ჩემთან.

16-დეკემბერი

გუშინ სახზანკის ბორჯომის განყოფილების თანამშრომელმა ნიკიტინმა შენიშვნების მოცემა დამიწყო: „სამსახურს გულგრილად ეპყრობი და ხულიგნობასაც ეწევო“... გული ყელში მომეზვინა, სისხლი თავში ამივარდა და ისე გემოზედ შემოულეწე ის გამხმარი ყბები, რომ აქედან ბორჯომში ფეხით ჩასულა: რა არის, სიმხურვალემ გამიაროსო.

25 დეკემბერი

ქალებში ბედი მიღიმის... ხშირად მიყვარს ხოლმე ჩემი საკუთარი ლექსის ჩაღიღინება:

„მთლად შევიყვართ სუყველა, ვინაც კი მოგვეწონება, დღეს ნინა, ხვალაც თინკო, გულში რომ ჩაგეკონება“... წუხელის დიდობა კი დრო გავატარე ნოშრევანის დისწულთან... მართლაც რომ ძველებურ მონასტრის ბერივით ვიყავი გამოქიმული იმოდენა სამოთხის ჩიტებში.

31 დეკემბერი

ცოტა მარცხი მომივიდა და გული დამეთუთქა... ნათქვამია: „შინაურ ფრინველებზე ნადირობა არ ვარგაო“, მაგრამ მე ჩემი მაინც არ დავიშალე და ჩემს თანამშრომელ ქალს კ-ს, ვესროლე სიყვარულის ისარი...

ამიჩუხჩუხდა სისხლი ბორჯომის ჩანჩქერივით, გადამდაგა ვნებათა მღელვარებამ და წუხელის ვეწვიე... არც ვაციე, არც ვაცხელე და როგორც აფრიკის ვეფხვი ისე ვებდღვენი... მაგრამ ვაი სირცხვილო?! ბედმა მილაღატა და კუდ-ამოძუებული გამოვიპარე...


გულს მაინც არ გაგიტენ და როგორც კი დროს ვიხელთებ ისევ იერიშზე გადავალ...

ჰოი, 1938 წელი! შენ იცი როგორ შემაწყობ ხელს და ჩემი გმირობის სახელს ბოლომდე შემანარჩუნებინებ!

დავითა.

ნახევარი საათის შემდეგ ევტიხი უკვე ეტლში იჯდა და მის გვერდით რაუდენა მუხლებზე დადგმულ არღანს ასწორებდა.

ეტლი ჯერ ადგილიდან არ დაძრულიყო, რომ ეზოს გაღამა ევტიხის თბილისელ ნაცნობთა ამაღა გამოჩნდა სამგლოვიარო გვირგვინებით ხელში.



ევტიხი დაიბნა, უნდოდა გაპარულიყო, მაგრამ აღარ მოხერხდა. ნაცნობთა ამაღა უკვე მოახლოვდა. დამწუხრებული მეგობრები სატირლად ემზადებოდნენ. მაგრამ მათი შეცხადება ევტიხის მხიარულმა შეძახილმა დაძვარა:

— მეგობრებო!.. მაყრებო!.. ქორწილია, ვიქეიფოთ! ნინა გავგიბედნიერდა... გათხოვილა, დროზე მოგვისწავით! წავიდეთ, დრო გავატაროთ...

როცა გაოცებამ გადაიარა, ცოცხალი ყვავილების სამგლოვიარო გვირგვინები სასწრაფოდ დაშალეს და მხიარულ ყვავილების კონებად, თაიგულებად გადააკეთეს. პატარძლისათვის საჩუქრად მისართმევად. და არღნითა და მაყრულით მხიარული ამაღა კოლმეურნეობისაკენ დაიძრა.

ევტიხის ქორწილში მისვლამდე ერთი ფიჭვი უტრიალებდა:

— ეშმაკმა დასწყველოს, ვინ უნდა იყოს ის ოჯახდასაქტევი ნამორაე?!..

ა.პ. გულიაშვილი.

აქლემმა თურმე ქოქოლა დააყარა ცხვრებს: კირმა კი გაგწყვიტათ, თქვე კუზინებო თქვენაო.
ვასტაბუქას რვეულიდან.

— ვასტაბუქა, ბიჭო, ბამბა, თუ იცი, როგორ მოყავთ?
— იპ! დამცინი თუ? მაგ საკითხში ჩემო სულიყო, კაი ატრონო-
მიც ვერ გამოძლებს.

— ჰო, თქვეაბა, რა იცი მაგის შესახებ?
— როგორ, ბამბუკი არ გაგიგონია, ბიჭო?
— ჰო!

— ჰო და ბამბუკი რომ ისხამს ბამბას არ გაგიგონია?

— როგორ ხდება ეგ, კაცო?

— როგორ და ბამბუკი, ჩემო შიშტიბუქავ, ერთი ჰეკტარის სი-
მაღლის იზრდება; აქვს გაბარჯული ამ ბამბუკს ტოტები აქეთ-
იქით და ზედ ბამბა ასხია. რატომ დაგჭირდა ბიჭო?

— რატომ და ერთი საქმე მაქვს მოსაკვარახტინებელი. ბამბაპენ-
ტე-ჩიხრისტრესტი ხომ იცი? ნარკვევი უნდა დაუწეროთ იმათ მე-
ბამბეობის შესახებ.

— ფარა იქნება?

— ბიჭოს, იქნება რომელია! შე კაცო ეგ გაზინებს? ფული თუ
არ ექნათ, გასამჯელოში ბამბას გამოვართმევთ და ფულად ვაქ-
ცევთ. გული არ გაიტეხო შენ, დაგავიწყდა მეკუბოვეების საქმე?
ფული რომ არ ჰქონდათ ხომ აუწერეთ კრიტიკული ნარკვევის სა-
ფასურში ოთხი კუბო და ექვსი გვირგვინი! ეგ კი არა, შენ არ ჰქე-
ნი, თორემ ახლა ბალდახინიც სახლში გვექნებოდა.

ნახევარი საათის შემდეგ ჩვენი გმირები უკვე, „ბამბაპენტე-
ჩიხრისტრესტისაკენ“ მიეშურებოდნენ.

— კი მაგრამ, ბიჭო, სოფელს კაცს როგორ მოგივიდა, რომ ბამ-
ბის მოყვანის წესსა და კანონს არ იცნობ?!
— საიდან მეცოდინება ბიძია, სოფელი რუკაზედაც არ ვიცი
სად არის, ან რა არის და ხომ არ დამესიზნებოდა!

— როგორ, ბიჭო, მატყუებდი თუ? შენ არ ამბობდი სოფელში
უძრავ-მოძრავი ქონება დავტოვეო?!

— რას მიედ-მოედები! ის რა ანაგარიში ჩასაგდებია! ჭძრავ
ქონებაში ერთი კუტი სიღებრი დავტოვე და მოძრავი მამალი დამ-
რჩა ერთი, მერე და რა მამალი, აღარ იკითხავ? დილით, თუ გააღ-
ვიძებდი იყივლებდა, თუ არა და ეძინა და არხეინად იყო...

შიშტიბუქას და ვასტაბუქას ჯერ არ დაემთავრებინათ ლაპარაკი
ამ საგნის გარშემო, რომ „ბამბაპენტეჩიხრისტრესტის“ შენობას
მიადგნენ.

— ჰო, ჰო, ჰო! რა ბრაქულა გოგოებია ბიჭო, შეხე! შეხე რავა
მწყრებივით დატკვარცალობენ ეგ ჩემი ცოდვით სავესენი! — გადუ-
ჩურჩულა ვასტაბუქამ შიშტიბუქას, როცა ტრესტის კარმიდამოზე
მოსაქმე ქალები დაინახა.

— ეხ, მაგათთვის რომ თავი მომაწონებინა როგორმე, ჩვენს
ბედს ძალდი არ დაჰყევდა, ჩემო ვასტაბუქა.

— როგორ, ბიჭო?

— როგორ და დირექტორამდე არ გინდა მისვლა, რომელიმე
მაგათგან რომ ვიცნობდეთ ახლა, ეგენი თავიანთ უფროსს გავაც-
ნობდნენ, მათი უფროსი მის უფროსს, მისი უფროსი მასზე უფროსს
და ქე გავიდოდით ყავარზე, დირექტორთან; დავუდებდით ხელშეკ-
რულებას ჩემო ვასტაბუქა და გიყვარდეს წერა.

— ეხ! — ამოიხვნეშა ვასტაბუქამ. — სად არის ახლა ძველი
დრო! შევეჯდებოდი ახლა ჭროლა ბედაურზე, ავაფრენდი მიმინოს,
ავაჭენებდი ამ ცხენს ამ ეზოში, ჩავაჭენებდი, ავაჭენებდი, ჩავაჭენებ-
დი და რავა დავიჯერო რომ არ მომიწონებდნენ.

— კაი ახლა, კაი. ნუ გახსენი ბაჭი-ბუქის სინდიკატი. ბედაურს
გააჭენებდი კი არა, ჩაჩანაკ ვირს ვერ გაუძელი, ყირამალა გადმო-
გაგლო, ფარშავანგებზე სანადიროდ რომ ვიყავით მუხიანში.

— შენი დასაცინი ვარ მე? შენ ინალვლე, თორემ მე, ბიძია, მენ-
შევიკების დროს ბევრმა თუ არა, ერთმა ქალმა მაინც მოიკლა
თავი...

— რატომ ბიჭო, შენი გულისთვის?

— რა ვიცი მე, თავი კი მოიკლა და...

ვასტაბუქას „სამიჯნურო თავგადასავალის“ მოყოლა აღარ დას-
ცალდა: ზენა ქარმა ბამბის ვეებერთელა ფანტელა გაიტაცა და ეზო-
ში ჩამდინარე რუსაკენ წაიღო, უკან ქალების გუნდი მისდევდა და-



საჭერად. ჩვენი გმირებიც აედევნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.
ბამბა რუში ჩავარდა და წყალმა წაიღო. ქალებს არ ესიამოვნათ ეს
ამბავი და ის ის იყო უკან უნდა გაბრუნებულიყვნენ, რომ შიშტი-
ბუქამ გული მოუგო: სარჩულგამოხეული პიჯაკიდან ბამბის ვეება
ფთილა გამოიგლიჯა და ქალებს შესთავაზა:

— თქვენი ქირის სანაცვლო იყოს, ბანოვანებო!

ქალები გააოცა უცნობის ასეთმა საქციელმა, მაგრამ ერთმა მათ-
განმა, სახელად შუქურამ, არ გააწბილა შიშტიბუქა, ფთილა ჩამოა-
რთვა და მიმართა:

— რატომ ზარალობთ ბატონო, როგორ უნდა გადაგიხადოთ!
შიშტიბუქამ ჩაურითმა:

ვარდი, ია, რა ნაზია,

მე ვინც მომწონს ლამაზია.

თქვენმა გარჯამ ჟრუანტელის

ჭინჭველები დამასია!

შვილი უნდა მამას სჯობდეს,

ქირშიც, ლხინშიც მამაცობდეს,

გამაცნობდე ნეტავ ვინმეს,

რომ ის შენს თავს გამაცნობდეს!

შუქურამ თხოვნა შეუსრულა: მისი ამხანაგი ქალი გააცნო და
ამ ქალმა შუქურა გააცნო შიშტიბუქას.

და სულ რამოდენიმე დღეში გაიჩარხა შიშტიბუქას „ყავარზე
გასვლის“ საქმე. შუქურამ საამქროს უფროსი გააცნო ჩვენს გმი-
რებს, ცნობილი კალმოსნებიო — მათი თავი უქო, საამქროს უფ-
როსმა ადგილკომის თავმჯდომარე გააცნო. ადგილკომის თავმჯდო-
მარემ სამნეო ნაწილის გამგე, სამნეო ნაწილის გამგე კი ყველაზე
ავტორიტეტული პიროვნება ამ წარმოებაში — ფუკუზა ფაფხი.

— რას ინებებდით ახალგაზრდებო? — ჰკითხა ჩვენს გმირებს
ფუკუზა ფაფხმა საათნახევრის ლოდინის შემდეგ.


— ჩვენ, — დაიწყო ვასტაბუქამ, მაგრამ შიშობუქამ მუჯღუ-
გუნ წაპკრა და გააწყვეტინა:

— ჩვენ... — განაგრძო შიშობუქამ — მწერლები ვართ.
ფუჟუზა ფაფხმა ქოჩორზე ხელი გადაისვა და ჰკითხა:

— სად ხართ მწერლებად?

— მე ანტირელიგიური კრიტიკოსი ვარ, შეთავსებით ტექნი-
კური პროზაიკი. — სთქვა შიშობუქამ.

— მე აგრონომიული პოეტი ვარ. — იცრუა ვასტაბუქამ.



— კეთილი და პატიოსანი, რას ინებებთ?

— ჩვენ, ბატონო, გადავწყვიტეთ, რომ თქვენ მოგვმადროთ.

— ვის? მე?! — გაიკვირვა ფაფხმა.

— ღია თქვენ, ტრესტს. გადავწყვიტეთ დაგიწეროთ რაიმე აგ-
რონომიული ნარკვევი ბამბის ცხოვრებიდან.

— თქვენს რომელიმე ლექსს ვერ მეტყვი?

— პაუალუსტა! — თქვა ვასტაბუქამ და ჩაუქუპრომტა:

სტამბამა, ამბავმა, ბამბამა დამბამა,
ლამარამ, ლამპარად დამფარა, ამ ბარად,
გინდარა, მინდარა, დიდ ტარა გიტარა,
უხტიტარამ, ახტიტარამ, დიხტიტარამ...

ფუჟუზა ფაფხმა სთქვა:

— მე პატივს ვსცემ საერთოდ მწერლობას, მაგრამ არ შეგიძ-
ლით სხვა რამე საქმე დაივალოთ?

— ხოშგელდი! — ერთხმად შესძახეს შიშობუქამ და ვასტაბუ-
ქამ. — რას დავგავალებთ?

— აი თუნდაც, ხომ შეგიძლიათ გამოიჩინოთ სიფხიზლე, აღმოა-
ჩინოთ მტერი თუ გვყავს ტრესტში ვინმე, ჩამოხადოთ ნილაბი, სააშ-
კარაოზე გამოიტანოთ, თუ ვის, სად, როდის ჰქონდა კავშირი მე-
წებლებთან, ან შეიძლება ახლაც ჰქონდეს. ისე ლექსებიც სწერეთ;
ადგილკომს დავავალებთ ჩვენს კედლის გაზეთში გაუშვას. კარგია,
სახელს მოიხვეჭთ. გაგიცნობენ...

— ხოშგელდი! — კიდევ ერთხმად შესძახეს ჩვენმა გმირებმა. —
ხელშეკრულება როდის გავაფორმოთ?

— რის ხელშეკრულება?

— აი ამ საქმის, რას მივიღებთ თითო სულზე?

— რა სულზე?

— თითო კაცის გამომჟღავნებაში.

— საქმე გვიჩვენეთ და გასამრჯელოს ფიქრი ნუ გაქვთ. რა
საჭიროა ხელშეკრულება, გენდობით, თქვენც უნდა მენდოთ.

ერთი კვირის შემდეგ „მასალებით“ დასაბალნებულნი წარსდგ-
ნენ ჩვენი გმირები ფუჟუზა ფაფხის წინაშე.

— ერთი აღმშფოთებელი ფაქტის შესახებ შევიტყვეთ, ბატო-
ნო, მაგრამ გვრცხვენი ვთქვათ.

— სთქვით, რა არის სასიკცხო!

— შიშობუქა გეტყვით, ბატონო. — სთქვა ვასტაბუქამ.

— არა, ბატონო, ვასტაბუქამ უფრო დაწვრილებით იცის.

— ჰო, სთქვით! — ხმა აღიმალა ფაფხმა.

— თქვენი ადგილკომის ტექნიკური მდივნის თანაშემწე რომ
არის. იმას ბატონო, ინდოური დაუგრილებინებია.

— ვისთვის, კაცო?! — გაიოცა ფაფხმა.

— მანებლის ინდოურისათვის, ბატონო.

ფაფხმა კალენდრის ფურცელი გადაშალა და აქამდე ჩამოწე-
რილ გასარიცხთა სიაში ნემსადის გვარიც დაუმატა.

— სხვა, კიდევ რა იცით?

— საშინელი რამ ბატონო!

— მაინც?

— თქვენი ტრესტის მოლარეს პატეფონი უყიდნია მალაზიაში.

— მერე?

— იმ მალაზიის გამგე მანებელი აღმოჩენილა!

კიდევ ერთი გვარი მიემატა გასარიცხთა გვარებს:

— კიდევ? კიდევ?

— იმ მალაზიის ერთერთ ნოქარს თქვენი ტრესტის მუშა ციმა-
კურიძე სცნობია; ამ ციმაკურიძეს თურმე კვასი დაუღვევინებია
თქვენი კულტმუშაკის ცოლისათვის. ზოდა, თქვენი კულტმუშაკი
თურმე დისწული ყოფილა თქვენი „მუკის“ ორგანიზაციის თავ-
მჯდომარის.

ფუჟუზა ფაფხი გვარების ჩამოწერას ვერ ასდიოდა. თან გვარე-
ბის ბოლოში ორგვარ საიდუმლო ნიშანს სვამდა. ტრესტ-რაც გარიც-
ხვას ნიშნავდა და წერტილს — რაც მოხსნის ნიშანი იყო.

— კიდევ? კიდევ?

— კიდევ ბატონო, თქვენი ბუფეტის ნოქარი აბანოში ყოფილა!

— მერე რა?

— მერე ბატონო და იმ აბანოში თურმე ვიღაც სხვა წარმოე-
ბის მანებელიც ყოფილა, ამ ბუფეტის ნოქარს თურმე ბულკზე
დოუპატიყვებია თქვენი კედლის გაზეთის რედაქტორი. ჰოდა იმ გა-
ზეთის რედაქტორების წევრები იმ დღეს თურმე „თოვლი მოსულას“
მღეროდნენ რედაქტორთან ერთად. მაგათ გაზეთში ბატონო, თქვე-
ნი თანამშრომლის კუხიანიძის წერილია დაბეჭდილი და იმ კუხია-
ნიძეს ამას წინათ ტელეფონში ულაპარაკნია თქვენს ბულალტერ
ზედგინიძესთან; ეგ ზედგინიძე ბატონო, წუხელის კინოში გახლდათ
ერთ თქვენ თანამშრომელ ქალთან. მერე არ იტყვი, ბატონო, რა
უყო იმ ქალს?

— რა?

— აკოცა ბატონო, მოსახვევში! ის ქალი ბატონო ძალიან ეარ-
შიყებოდა იმ ბულალტერს და გზაში რომ მოდიოდა ცხვირსახოცი
ამოიღო და თავის სურათი ამოუვარდა. აგერ გვაქვს ბატონო სუ-
რათი.

და ვიდრე შიშობუქა სურათის პოვნის მიზნით ჯიბეს ამოიქექ-
და, ფუჟუზა ფაფხმა ყველა ჩამოთვლილი გვარები ჩამოწერა, ზოგს
წერტილი დაუსვა ბოლოში, ზოგს — ტირე. შემდეგ სურათი გა-
მოართვა შიშობუქას და ზედ დახედვისთანავე, ხელიდან გაუვარდა.

— მართლა აკოცა, კაცო?

— კი ბატონო, ვასტაბუქამაც დაინახა, მოსახვევში...

ამ დროს ფუჟუზას კაბინეტში ის ქალი შემოვიდა, რომელზედაც
ელაპარაკებოდნენ ჩვენი გმირები და ფაფხს მიმართა.

— ფუჟუზიკ, მოე დარაგოი, დამოი ნე პაიდიოშ? ია სევიდნია
ბივშტექს პრიგატოვილა!

ფუჟუზამ გაისტუმრა ჩვენი გმირები და გზაში შიშობუქა არ
უსვენებდა ვასტაბუქას:

— რა წამომაროშინე შე აბდალო, თავიდან ვერ შეიტყე, რომ
ის ქალი ფუჟუზას ცოლი იყო?

სამი დღის შემდეგ კვლავ ესტუმრნენ შიშობუქა და ვასტაბუქა
ფუჟუზა ფაფხს ახალი „მასალებით“, მაგრამ კარისკაცმა უთხრა:
ფუჟუზა ორი დღეა აქ აღარ მუშაობსო, — რაც იმას ნიშნავდა, რომ
მისი სადმყოფობის გამორკვევა საჭირო აღარ იყო.


და ამ ტრესტში იმ დღეს აღარც „კვასზე დაპატიყვების“ შესახებ
უკითხავთ ჩვენი გმირებისათვის და არც ბამბა წაუღია ქარს...

შიშობუქამ ერთი ამბავი დააწია ვასტაბუქას:

— მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდაობას რა მრჯიდაო!... —
ამ ანდაზას ეუბნებოდა სამ დღეს.

ვასტაბუქას ხმა არ ამოუღია. რვეული ამოიღო და ის წინადა-
დება ჩაიწერა, მისმა ავტორებმა რომ ამ მოთხრობას და მის სა-
თაურს შორის მოგახსენათ...

რადიო გვქონდა ლილინა,
მღეროდა ენა-შაქარა,
უსმენდნენ—სმენით სტკბებოდნენ
ხური, ნიკო თუ ზაქარა.



მაგრამ გაფუჭდა, მოშლილი
ლნავის ვით ბავშვი ხატყები,
შიგ დაბინავდა ჩიორა,
დასჩიკა წვრილი ბარტყები...

კიო.



შოშარი: — გარეუბანი არავინ ახსენოთ, პასპორტები ამო-
ღეთ: ვინც ყველაზე ახლოს და კარგ გზაზე ცხოვრობს, ჩემი თავი
იმას ენაცვალოს..

აჭარა მოთხრობები

გვგავრები

გაფრთხილება

ტრამვაის მე-5 მარშრუტის ვაგონში, რომელიც შემთხვევით წე-
სიერად მიდის, სოფლელი ბიჭიკოც ზის. ის თბილისში ახლად ჩა-
მოსულია. ნაცნობს ცნობისმოყვარეობით ეკითხება ყველაფერზე.

— ეს რა ქუჩაა, აგერ ჩვენ რომ ოღუზიეთ?

— რუსთაველის პროსპექტია.

— ქე რომ თეატრი ვნახეთ ქვემოთ?

— რუსთაველის თეატრია.

— ვის სახლს აგებენ? — მიუთითებს ის რუსთაველის ძეგლზე.

— რუსთაველის ძეგლია.

ახალგაზრდა განცვიფრებულ-ალტაცებულია. მისი მოსაუბრე
რატაცას ფიქრობს, ტრამვაის ვაგონი კი... თქვენ წარმოიდგინეთ
მე-5 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი კი ამ შემთხვევაში სულ წესიერ-
რად მიდის: არც ჩერდება, არც ვისმეს ეჯახება, არც დანარჩენ ვა-
გონებს უცდის, რომ (როგორც ეს ამ ხაზზე ჩვეულებად გადაქ-
ცეული) ერთად იარონ. მიდის ტრამვაის ვაგონი და უკვე რუსთა-
ველის სახელობის ინსტიტუტთანა.

— ეს რა შენობაა? — კითხულობს ბიჭიკო.

— რუსთაველის ინსტიტუტია.

ბიჭიკო განცვიფრებას ვეღარ იკავებს.

მაგრამ ბიჭიკო თავისი დასკვნით აწყვეტინებს:

— ჰო, მასეთი კაცი კი ააშენებს საკუთარ ქუჩას, თეატრს, ინ-
სტიტუტს და ყოლიფერ სიკეთეს.

— ელისტრახო, ეს მესამედ გზედვ, რომ ჩემოდანს ყიდულობ,
რად გინდა ამდენი ჩემოდნები.

— ვაწყობ.

— ახირებულობა ჩემოდნების ყიდვა და დაწყობა.

— შენ ვერ გაიგე, ჩემოდნებს კი არ ვაწყობ, ჩემოდნებში ვაწყ-
ობ. თითო ამ ზომის ჩემოდანში სამი მარც ეტევა.

— მე კი მგონია, ხუთიც ადვილად მოთავსდება.

— არა მეთქი, მეტი არ ჩადის.

— შე კაცო, მე თვითონ ხუთ-ხუთს ვაწყობ და ქე ჩადის.

— რას აწყობ აღარ იტყვი?

— რასა და სამუთუჟე ღორის თავებს.

— ღორისთავები ქე ჩავა, მარა დაწუნებული პოემების ხელთ-
ნაწერები მეტი არ ჩადის.

— როგორ, შენ პოეტობა კიდევ არ მოშალე?

— ვერ მოვარხებ, ახლა უკვე ცხრა ჩემოდანი მაქვს ნაწერე-
ბით სავსე.

— ო, მაშ სიფრთხილე გემართებს, — შენ თუ იმგვარი ლექსე-
ბის წერა განაგრძე, ჩემოდანს ვეღარსად ვიშოვით.

თარსი.

ზოფ. მერეთის (გორის რაიონი) სკოლის მასწავლებელი ღამბაშიძე მოწაფეებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს.

ნახ. ლებეშვიცისა



1 კატა: (მეორეს) — რა გამძლე ყურები ჰქონია მაგ სალაზა-ნახ. ნახევარი საათია ჰქაჩავს და ვერ ააგლიჯავ!

ეს პროზად მოხდა ამას წინ, მეც ლექსად გავიმეორე: ფეფელა შეხვდა კეკეს და „ჩაპროშტეს“ ერთიმეორე.

— როგორ, ფეფელჯან, რასა იტყვათ როგორ გყავს, სარქისა?! — ფეფელა ქეროვი ქალია, ვაჟი ყავს თექვსმეტი წლისა.

— არა გვიშავს რა, კეკელ-ჯან, ყველა კარგად მყავს სახლშია, სარქისაც უკვე დაკაცდა; ახლა მეთათე კლასშია!..

— მეთათე კლასში? რას ამბობ? განა, რამდენი წელია? სოქვი — თექვსმეტი წლის არისო და ნუთუ ეგ სათქმელია?!

ამდენი კლასის გამოცვლა აბა, ვის გაუგონია? მე ერთ კლასში ვარ ერთთავად და არც მეძრახვის, მგონია!..

პირიქით, კიდეც ვამაყობ და მიღწევად ვთვლი ამას: ვინც მშრომელთ კლასში არ არის, არც წებას რთავენ ჭამასა!..

ქა, ჭამას რად ვერ შეიძლებს ჯიელო, მდევის ოდენა? ნახე მჯილის დონ ლუკმებით იმისგან ყბის ამოტენა!..

ჭამს თითქოს ჯამის ოდენას, იმას კი ვენაცვალე, სიობლით გამოზრდილი მყავს, ნადაგი და ნაწვალეები...

მაშ, ჭამას რისთვის მივაცლებ, რაც კი მაქვს მონაგარი? მე ვარ და ერთიც ისა მყავს, განა, სარჩენი ჯარია?!

— მერე და შენ კი გაქმევნ, მყოლს წვერის უცხო კლასისა? — რის უცხო? ვითხარ, არისთქო მეთათე კლასში სარქისა!..

მესმის, რომ მეთათეა და საქმეც არის ამაში: აბა, ვის გაუგონია დღეს კლასთან ასე თამაში?!

თუ მე, ჩემს მამას და პაპას ძლივს ორი კლასი გვხდენია, მე დღეს, ერთ კლასში მტუიკედ მყოფს, იმ წარსულისა მრცხვენია,

როცა გლეხ პაპას და მის შვილს, ამქრის ხელოსან მამასა, ვითვალისწინებ მე, შვილი, გულში ეკლად ვგრძნობ ამასა!

და თუმც ეს წელზეც მეტი დრო მოგვდევს ჩვენ, ამ სამს თაობას, მე მინც ვერ ვურიგდები ჩვენს მცირე სხვადასხვაობას.

და მთლად, გვართ თუ გუჯაბით, ახალნი ვართ თუ ძველანი, ნეტავ, სულ მუშათა კლასში ვყოფილიყავით ყველანი!..

შენ კი რას ამბობ? სარქისა, ეგ თექვსმეტი წლის ბიჭიო, უკვე მეთათე კლასშია, იჩინა დიდი ნიჭიო!

ნიჭი კი არა, თუ მკითხავ, ეგ კლასების ცვლა — სენია! ზომ გესმის: ქცევა ასეთი ჯერ არ ვის არ შერჩენია!..

— ნურც ჩემს სარქისას შარჩება კლასი ერთი წელზე მეტათა! ეს რა აზრები მოსვლია ამ დიაცს თავში რეტათა?!

ამბობს ფეფელა და არ სწყვეტს გზად უკან-უკან მზერასა, ერთი მეორის ნათქვამის რომ ვერ ხედებიან ვერასა.

ფეფელა რომ კლასს გულისხმობს, სასწავლო არის ის ცნება, კეკემ კი კლასს, სოციალურს გადააყვალა ოცნება!..

და ვერ მოხერხდა მათ შორის ვერც ზავი, ვერცა დათმობა, გაუგებრობის მიზეზით დაირღვა მათი თანხმობა!

ერთი იქით და მეორეც დაუყვია ჭურჩას აქეთა, და ზურგში ხშირხშირ მიხედვით ურთერთს კენწლავენ მკვანება!..
ზიპო.


ქარიატის (ხობის რაიონი) კოოპსაეპრო ამა წლის 12 თებერვალს აწყობს დიდ

სალამო-ვახუშტის

სალამოს დევიზია: „ვინც არ დაღუვს, რა კაცია?“ დასასრულ ნოქარი პაქორია დახლზე იცეკვებს უზუნდარას. შესვლა — ხუთთუმნიანებით.

შეშინებულთა შორის

„კვებმრეწვისაგომის“ სანიმუშო მაღაზიის გამგე მინასიანი მსხალს ალ-პობს და ისე ასაღებს.



მინასიანი: — სად მიდიხართ, რამ შეგაშინათ ძმებო და მეგობრებო! არხეინად იყავით, ხელს ვერვინ გახლებთ, ჩაგეტავთ ყუთში და სანამ არ დალბებით ფეხს არ მოგაცვლიყვინებთ!

კბილბასაკრაპი ამბები

გზა-კვალს ვაკვლევთ

(სიღნაღი)

ჯაფარიძის ქუჩის ბოლოს
ელნათურის იდგა ბოძი,
და ვილაციის ბნელმა ხელმა
მოიპარა, დღეა ოცი.



დღე დავდივართ, ვეწვალებით,
მომპარავის გზა-კვალს ვაკვლევთ,
ხოლო ღამე ისე ბნელა,
ელსადღურსაც ვეღარ ვაგნებთ.

სახლშიაც და სამსახურშიც...

(ფოთი)

აქ საერთო საცხოვრებელს
„წისკვილმშენის“ მუშებისა
ჭერიდან თუ კედლებიდან
დღე და ღამე წყალი სდისა.



ეს ამბავი ნიანგ-ჩემო,
არც ქორია, არც იშკილი,
„წისკვილმშენელთ“ სახლშიაც და
სამსახურშიც აქვთ წისკვილი.

დიდიდან — სალაგოდა

(სცენა წარმოადგენს ჭიათურის მარ-განტრესტის თბილისის კანტორას. ტელე-ფონთანაა კანტორის უფროსი გრიშა ჩაფიძე).

ჩაფიძე — ალლო! ალლო! ჭიათურა. გეს-მის კაცო? ჭიათურა!.. (ტელეფონში არ პა-სუხობენ) მოგკვდი კაცო, აღარ შემიძლია მე-ტი ამ ჭიათურამ ჭიპზე გამხეთქა მთელი დღე ყვირილით... ჭიათურა! ჭიათურა!.. შავი ქვის ტრესტია? ა? მიპასუხე კაცო. სლუშა! პა-დაჟდი, გორსკაია, ნი მეშაიტე პაჟალუსტა, დაიტე მნე ვისკაზატ ვსიო... ჭიათურა!.. ჭია-თურა!.. გრიშა ხარ? კაცო, ტრესტში არავინ არის? დამალაპარაკეთ კაცო ვინმეს... ჰა, ჰა, ჰა, კაცოთქვა აბესაძე არ არის მანდ? გამარ-ჯვება კოლია, გრიშა ვარ, არც ბულალტერი-აშია არავინ? გესმის? შენ რომელი ხარ? რო-მელი ხარ კაცო? მე ვინ ვარ?... თბილისი ვარ კაცო, თბილისი დაგეჟცა ოჯახი. თბილისი არ იცი რა არის კაცო? ჰო და თბილისი ვარ... რა გვარი ვარ? მე ჩაფიძე ვარ, ჩაფიძე, არ გესმის? ჩაფიძე ვარ... დაგეჟცა ოჯახი, ჩა-ფი არ იცი რა არის კაცო? გესმის? კოკა არა მაქვს ოჯახში? ჩაფი კაცო, ჩაფიძე ვარ. რა მინდა? შავი ქვის ტრესტია? მესტია კი არა, შავი ქვის ტრესტია? ვაი და მართლა შავი ქვა შენს თავს! ვინ ხარ კაცო, ამოიღე ხმა... არ იტყვი? სკაჟი სკარეი კტო ტი ბუდეშ. ვინ ოხერი ხარ კაცო... რას მასხრობ აქნა, კაცო... მოგხსნი შენი დედა კი ავატირე მე... სნიმუ კლინუს მატერი... კაცო... ქართული არ იცი შე ოჯახქორო? პაზავიტე კავონიბუდ ატვეტ-სტვენოვო ლიცა, ატვესტვენი დარაჯი ხარ? ვინ ოხერი ხარ კაცო... გარაჟი? თეატრი? კაცო რათ მინდა ფრანგიშვილი. სამმართვე-ლო მომეცი... დრამატურგი კი არა ჩაფიძე ვარ, კაცო, რომელ პიესაზე შელაპარაკები! რის ხელშეგრულება... გესმის... ჭიათურა... ჭიათურა... დედას ვფიცავარ თუ ჩამოვედი მა-ქანა, შემომელახები ხელში... ვინ ხარ კაცო... ჭიათურა... ჭიათურა... საეღინიტე რადიოგა-სტრესტომ... ტეატრი კი არა ტრესტი კაცო... ტრესტია? ნუ სლავა ბოგუ... გესმის. შენ ხარ კოლია, აპა ვინა ხარ კაცო... სკაჟი კტო ტი ტაკოი სკატინა... სვამი გავარიტ ჩაფიძე, ჩა-ფიძე ნუ კუვშინოვ... რა გეცინება კაცო, ვინ გდიხარ შენ, აქნა ჭიპზე ვსკდები და შენ მასხრობ კაცო. მალე შენი ღუზი აღარ იქნება ქვის მიდამოებში. როგორც პროკას ისე მო-გადრობ... ვის და შენისთანა ლაწირატს და ხულიგანს. ვინა ხარ? ტრესტის მმართველი ხარ? უჰ ბოდიში, შენი ჭირიმე. მესმის, მაპა-ტიე თუ კაცი ხარ... პრასტიტე პაჟალუსტა, მესმის. კიდევ ბოდიში!.. დიდი ბოდიში!.. მა-პატიე გენაცვალე!.. მმართველი არა ხარ? ვინ ხარ. რომელი მართა კაცო... მართლა მართა ხარ თუ მართლა მმართველი? ა? რაო გავიწ-ყდა გვარი მართაია, მე მართლა ტრესტის მმართველი მეგონე არ შევიჩინე: მოგხსნი პროკასავით!

(გაგრძელება შემდგომი იხილოთ ყოველ-დღიურად რუსთაველის პროსპექტი № 32 მე-3 სართულზე).

კვანთილა




გუშინ...




გუშინ...



დღეს...



დღეს...



დედამთილმა ერთ თავის მეზობელს შესჩივლა:

— ჩემი რძალი ურიგო სიტყვებით მიხსენიებსო.

ამ დროს რძალიც იქვე იდგა და დედამთილს შეესიტყვა:

— აბა, შე სულკატიანო და აძალღებულო, ურიგო როდის რა მითქვამს შენთვისაო.

* *

ბერმა მაჭუტაძემ და ერთმა ქარაფშუტა თავადიშვილმა ქუთაისის გიმნაზიის ახლოს გაიარეს. თავადიშვილმა თავმომწონედ წარმოსთქვა:

— მე ამ გიმნაზიაში ვსწავლობდიო.

მაჭუტაძემ დაავლო ქვას ხელი, მივარდა კედელს და დაუწყო ცემა:

— დაიქეცი, დაიქეცი ბარემ თუ ამაზე უკეთესის გაზრდა არ შეგიძლიაო.

* *

ერთმა ჯიბგირმა სოფდაგარს ჯიბეში ხელი ჩაუყო და დიდხანს ურია შიგ. რადგან სოფდაგარს ჯიბეში არა ეგულებოდა რა, ყური მოიყრუა. როცა მოთმინებიდან გამოვიდა, გაჯავრებით შესძახა ჯიბგირს:

— შე უსერნდისო, ხედავ არაფერია შიგ და ხელს აღარ ამოიღებ ჯიბიდანაო?

— უსინდისო მე კი არა თქვენ თითონ ბრძანდებით. სახელგანთქმული სოფდაგარი ხართ და ჯიბეში ერთი გრრში არ მოგეძეებთაო. — მიუგო ჯიბგირმა.

* *

სასადილოში ერთმა ვეჭილმა ძეხვი მოითხოვა, ბევრი ეწვალა და კანი ვერ გააცალა. გულმოსულმა წამოიძახა:

— არ გიკვირთ, რომ ამ ძეხვს კანი არა სძვრება?..

— ეგ არ მიკვირს, — უთხრა იქვე მეორე მაგიდასთან მჯდომმა აკაკიმ — მაგრამ ის კი გასაყვირალია ვეჭილი ხარ და ტყავის გაძრობას ვერ ახერხებო.

* *

სოლომონ პირველი, მეფე იმერეთისა; მინდვრად ყოფილა სანადიროდ. თვალი შეასწრო თურმე ერთ გლეხკაცს, რომელიც ხმამაღლა სტროდა და ჰყვიროდა. მეფეს გაუ-

კვირდა და მაშინვე მივიდა მასთან ამბის შესატყობად:

— რა დაგემართა, რომ აგრე სტირი? — ჰკითხა მეფემ.

— აქ ჩამოვხტი შესასვენებლად, ცხენი ბალახში გაუშვი. მე ჩამძინებოდა. ამ ძილში ცხენი მომპარეს და წაიყვანეს, ამას ვსტირი და ვიცემ თავშიო.

— თუ ცხენი საპატრონებელი გყავდა, რაღა გაძინებდაო? — უთხრა მეფემ.

— მე მეგონა თქვენ გელეძათ, თორემ მე რა დამაძინებდაო, — მიუგო გლეხმა.

მეფეს ისე მოეწონა ეს სიტყვა, რომ გლეხს თავისი რაში აჩუქა და ამის შემდეგ ქურდებს სასტიკი დევნა დაუწყო.

საყვანიეროდ.

ერთმა თავადმა მეცად ცრუ ლაპარაკი იცოდა და რომ თავიდან აეცდინა სიცრუის მხილებით გამოწვეული შერცხვენა (რაც მას არა ერთხელ შემთხვევია) თავადს თან დაჰყავდა მხლებელი, რომლის მოვალეობაც მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ თავადი

რომ სიცრუეს მოჰყვებოდა, მხლებელი რომის კალთის დაწვევით ანიშნებდა. ერთ სადილზე თავადი ჩვეულებრივ გაიტაცა თავისმა ტყუილებმა.

— დიახ, ბატონებო, — დაიწყო იმან, — გუშინ, ნადირობისას, მოგკალ, სხვათაშორის, ერთი მელაც და თქვენ იქნება არ დაიჯეროთ, მაგრამ გარწმუნებთ რომ კული იმ წყეულს საყენახევარზე მეტი ჰქონდა. მხლებელმა კალთა დაუწია. ზოგს სიცილი აუვარდა, — დიახ, ბატონებო, — განაგრძო შეფიქრებულმა თავადმა, — კული მელას ერთ საყენამდე ჰქონდა. მხლებელმა კვლავ დაუწია კალთა. — სწორედ მოგახსენოთ, მე თითონაც გავვოცდი, როცა იმოდენა თითქმის ორ-არ-შინიანი კული შევნიშნე, — გადააკეთა სიტყვა. კალთა მაინც დასწია მხლებელმა. თავადმა კვლავ უკლო მელას კუდის სიგრძეს, ერთ ადლამდე ჩამოვიდა, მაგრამ შეუბრალებელმა მხლებელმა მაინც კალთა დაუწია.

— შე ბრიყვო, შენა, — შეუღრიალა თავადმა, — ერთთავად კალთას რომ მწევ, ის გასაოხრებელი მელა სულ უკუდოა ხომ არ იყო?

რეკლამა

კაფე-რესტორანების მთავარსამართველოს კაფე-სასაუზმი „ხალტურისტნი“

(რუსთაველის გამზირი, 12)

დიდი მასშაბი — წარმოდგენა:

გუზლამა

(კულინალური დრამა 4 ძარღვად 17 ძვლად)


მონაწილეობენ: სვინინ შაშლიკ ს მიახომ, ტელატინა იზ ბარაშკა, ინდაურსკი ერბო კვერცხ, ისპანახი პა გამბურსკი, კატლეთ პა ხლებსკი, ლომი პო კიტაისკი, ტაბაკა იზ ბუივოლა.

დადგმა: მხარეთმცოდნეობის ხალხთაშორის

ოფიციალტო ყალთაბანდობაზე დირექტია პასუხისმგებელი არაა.

მიიღება წინასწარი დაკვეთა ლუდზე და საჩივრის წიგნზე.

პატივისცემით: დირექტორი — სერგო ნასარაძე



დიდი ვაი-ვაგლახისა და უბედურების შემდეგ, როგორც იქნა დაიძრა ზესტაფონიდან „ავტოტრანსის“ სამგზავრო მანქანა ჩხარის მიმართულებით.

მგზავრებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ დახეთ უბედურებას, ზესტაფონს არც კი იყო გაცილებული მანქანა, რომ შიგ კონტროლიორი ამოვიდა, თან სასწორო ამოიტანა და პირველ მგზავრს მიმართა:

— შედექი ზედ! — აწონა. ქვითარი მოხია და მგზავრს გაუწოდა. — აჰა, მიიღე ქვითარი!

— რა ბრძანეთ ყმაწვილო? — შეეკითხა მგზავრი.

— ხუთ კილოგრამზე მეტი ვინც გამოვა ზღის ჯარიმას წონის მიხედვით.

— ა, გენაცვალე ბილეთი, 4 მან. 75 კაპ. გადამახდეინეს. ასე მითხრეს ეს ღირსო.

— იხილ თუ არა?

— ყმაწვილო რაგა ბაჟს მახდეინებ საკუთარ თავზე?

— მანქანაში აღვიღს იკავებ... ეს ხურჯინია? 5 მანეთი მაგის.

— ოჰ, შე კაცო, მხარზე გადავიკიდებ.

— სულ ერთია, ფასი ერთია, დაჟაქე 18 მან. შენი და ხუთიც ხურჯინის, თორემ გადმოგსვამ მანქანიდან. გამომართვი ქვითარი.

— კაცო, გადავადებ ამ დასაწვავს. — და მგზავრმა ამოალაგა ხურჯინიდან ხორავი და ხურჯინს გადაადება დაუბირა.

— მოითმინეთ, რა არის ეგენი? — შეეკითხა კონტროლიორი.

— დაკლული ბატი.

— ბატში ხუთი მანეთი... ეგ რა არის?

— ლამფის ფითილი? გადიხდი 1 მანეთს.

ეს მარტილი რამდენია?

— ორი კილო.

— 2 მანეთს გადაიხდი.

— კაცო კილო თვრამეტი კაპიკად ვიყიდე და შენ 2 მანეთს მახდეინებ?!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ჩამოდი 36 მანეთი და 19 კაპ. მე ამდენი დრო კი არ მაქვს, სხვებსაც უნდა მომსახურობა. ამ ხალხს ხედავ?

— კაცო, წელან 18 მანეთი მითხარი და ახლა 36 მანეთს მითხვ?!

— წელან ერთი „მესტა“ იყავი, ახლა ხომ ხედავ შენიანათ ხუთი „მესტა“, — არა, უკაცრავად, ყაბალახისა და ჩოხისას არ ჩავ-

სულვარ — 10 და 36 რამდენი იქნება? ჰო, ორმოცდაექვსი მანეთი და 19 კაპ. ჩაქაქი დაჟაქე!..

მგზავრი წამოდგება:

— ყმაწვილო!

— სტოპ. 21 მანეთი და 50 კაპ. სიმაღლო სათვის. 160 სანტიმეტრს ქვევით 75 კაპ. 200 ორას სანტიმეტრამდე. ხოლო 200 სანტიმეტრის ზევით 1 მან. 50 კაპ. — სანტიმეტრი ამოიღო და გაზომვა დაუწყო.

— ყმაწვილო, შენ სრულ ჭკუაზე ხარ? — და მგზავრს ცხვირს დააცემინა.

— 80 კაპ. ცხვირის დაცემინებისათვის... გამომართვი ქვითარი.

— ამისთანა მგზავრობაც კი შევარცხვინე, ფუ!

— მანეთი და ექვსი შაური კიდეც, მანქანიდან გადაფურთხებისათვის. მგზავრი მოთმინებიდან გამოვიდა და გაქანებულ მანქანიდან გადმოხტა.

— ათი მანეთი! ათი მანეთი! — დაედევნა ყვირილით კონტროლიორი — მანქანიდან გადმოხტომისათვის ათი მანეთი. მაგრამ მგზავრმა ტყეში შეაფარა თავი.

აბუსალათინი.

ჩვენნი ფოსტა

ზონიას (გორი) — იწერებით:

„გორში ზამთარი მოვიდა და უინვახავით აცივდა ჩვენ კაკლის ხეებს ფოთლები ორი თვის წინათ ჩამოსცვინდა“.

და ამბობთ: „ვეგრძნობ, რომ ძალიან ფინთია ჩემი თხზულებათ“.

წიანგმა „თხზულება“ ასეთი პასუხით გადაადგო გოდორში:

ჩემო გორელო ძმაო, გონია შესანიშნავი გრძნობა გქონია.

აკლიკუტას (ოკრიბა) — გვატყობინებთ:

„პოვეტობა მოვინდომე რავარიც არის გრიშა, მარა ჩვენ თავმჯდომარემ თქვენთან არ გამოამიშვა“...

გულითადი მადლობა გადაეცით ნიანგისაგან თქვენს თავმჯდომარეს.

შეხვედრებულს (სამტრედია) — აი ადგილი თქვენი ლექსიდან:

„რა ქალი ხარ ძლაბო ნუცა არ გწამს ხატი, ღმერთი, ხომ გიყვარვარ ნება მომე ჩაგიკონო ერთი.“

ეს ლექსი გამოუთქვი ჩემს საყვარელ ნუცას, წაუკითხე, გადიხია ღრანჭში სილა მტკლუცა“.

შემცდარა... კეტი უნდა ეხეთქა თავში, კეტი!

ანაფოდისტის (სახხერე) — გბეჭდავთ თქვენს ლექსს უფა ლელად:

„გუშლამ სახლში შემოცვინდენ კოსტაიეს ბაღნები უკან ყეფით ქე მოხდედენ ერმილიეს ძაღლები,“

ნოშრევანის შვილობილი შემოხტა და მახარა, თურმე ჩვენ ყვავს მოუგია სამი ცალი ბახალა“...

დიდებული საქმე უქნია ყვავს „სამი ცალი ბახალა მოუგია“ ყვავი იმ ბახალებს მალე დააფრენს, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ?

მელაქუდას (აქვე) — თქვენი „ლექსი“ გვაუწყებს:

„ზოპარკში რო შევედი მე იქ ვნახე დათვი, რომ შევხედე შემეშინდა მგელს უგავდა ცხვირი,“

მერე ვნახე თუთიყუში ზაკუსკობდა სემიჩკას, იმნაირად ჭიკჭიკობდა რალმე გავდა ვერიჩკას.

ბრახ, ბრუხ, ერთი ორი შვიდი, ხუთი, ათი, პოლიუსის თეთრმა დათვმა ჩამომართვა თათი“...

მაშ რა გეგონათ, თეთრი დათვი განა ისე სეპრეა, რომ მეგობარი ვერ იცნოს?

ტერუელში ბრძოლების დროს ფრანკოს ჯარის ნაწილმა უკანასკნელად
„შინდა“ მონასტერს შეიღწა თაღი, მაგრამ რესპუბლიკელებმა აქედან
ქუდით ქვა ასროლინეს.

ნახ. მ. ლებეშვილისა



— ზრანკოს ოპიტიზმი — მომყვით ბიჭებო, ნუ გეშინიანთ, ღმერთი ჩვენთან არის!